იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსისა დასქესის გავლენა მედეგობაზე

ნინო ცქვიტიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ასოცირებული პროფესორი PhD, BCBA

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ბოლო პერიოდში მედეგობის შესახებ კვლევების რაოდენობა გაიზარდა. გამოიყო სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენენ მედეგობის ჩამოყალიბებაზე ბავშვობაში და შემდგომ ხელს უწყობენ ადამიანის მიერ სხვადასხვა სტრესული გამოცდილების გადატანას. უამრავი კვლევის მიუხედავად საბოლოო დასკვნა, არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფენომენია მედეგობა: ეს უნარია რომელიც გენეტიკურად გადაეცემა ადამიანს, თუ ეს არის გარკვეული წინასწარგანწყობა, რომელიც სხვდასხვა გარემოდან მომდინარე გავლენებთან ინტერაქციაში წარმოიქმნება. გარკვეული გენეტიკური წინასწარგანწყობების მიუხედავად, მკვლევარების უმრავლესობა თვლის, რომ მედეგობა თანდაყოლილი პრედისპოზიციისა და გარემოს ზეგავლენის შედეგად ყალიბდება ადრეულ ასაკში. ამასთან, მედეგობა დროთა განმავლობაში ვარირებს და შესაძლებელია მისი გაძლიერება. მედეგობაზე მოქმედი მრავალი ფაქტორიდან, ჩვენ გამოვყავით სქესი და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი, რომელსაც ვიკვლევთ CYRM-28 კითხვარის მეშვეობით. კვლევის შედეგია, ის რომ სქესი არ ახდენს გავლენას მედეგობაზე განსხვავებით იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსისა. ამ სტატუსის მოზარდებმა გამოავლინეს მეტი მედეგობა, ვიდრე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის არ მქონე მოზარდებმა.

საძიებო სიტყვები:*მედეგობა, მოზარდები, იძულებით გადაადგილებული პირები, სქესი, CYRM-28*